<u>პროექტი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება №
---მაისი 2023 წელი

ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, გაბრიელ სუნდუკიანის ქუჩისთვის ენათმეცნიერის, აკადემიკოს თამაზ გამყრელიძის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. ჩუღურეთის რაიონში, გაბრიელ სუნდუკიანის ქუჩას მიენიჭოს ენათმეცნიერის, აკადემიკოს თამაზ გამყრელიძის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**

გაბრიელ სუნდუკიანის ქუჩა
1 : 1772
გეოგრაფიული (გრძედი.გა

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია
GEORGIAN NATIONAL ACADEMY OF SCIENCES

0108 თბილისი, რუსთაველის გამზ. 52
დეპეშებისათვის: თბილისი 0108, მეცნიერება
ტელ./ფაქსი: +(995 32) 299-00-52
+(995 32) 299-88-91
ელ. ფოსტა: kancelaria@science.org.ge
academy@science.org.ge

"21" 06 2021 წ.
№ 010107-465/137
თქვ. №

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარეს,
ბ-ნ გიორგი ტყემალაძეს

ბატონო გიორგი,

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია წარმოგიდგენთ აკადემიის პრეზიდიუმის 2021 წლის 15 ივნისის №10 დადგენილებას აკადემიკოს თამაზ გამყრელიძის სახელის უკვდავყოფის შესახებ და მოგმართავთ თხოვნით, რათა გაითვალისწინოთ მისი ღვაწლი და დამსახურება ქართული მეცნიერების განვითარების საქმეში, მისი მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი მოღვაწეობა და თბილისის ერთ-ერთ ქუჩას მიანიჭოთ აკადემიკოს თამაზ გამყრელიძის სახელი, ხოლო მისი საცხოვრებელი სახლის კედელზე (იაკობ ნიკოლაძის ქ. 6) გახსნათ მემორიალური დაფა.

პატივისცემით,

პრეზიდენტი

გიორგი კვესიტაძე

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდიუმი
დადგენილება № 10

2021 წლის 15 ივნისი

აკადემიკოს თამაზ გამყრელიძის
ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ

მომხსენებელმა, აკადემიკოსმა ავთანდილ არაბულმა აღნიშნა, რომ მიმდინარე წლის 10 თებერვალს გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე.

აკადემიკოს თამაზ გამყრელიძეს გამორჩეული წვლილი მიუძღვის ქართველოლოგიის, ქართული აღმოსავლეთმცოდნეობისა და ინდოევროპეისტიკის განვითარებაში, ზოგადად, ქართული მეცნიერების წარმატებასა და მაღალი პრესტიჟის შექმნაში საერთაშორისო ასპარეზზე. მან შექმნა ფუნდამენტური, ახალი მიმართულების შემქმნელი ნაშრომები ზოგადი ენათმეცნიერების, ქართველურ ენათა სტრუქტურისა და ისტორიის, ინდოევროპულ ენათა გენეზისისა და განსახლების, დამწერლობათმცოდნეობისა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე. იგი მუდმივად იყო XX საუკუნის მეორე ნახევრის ლინგვისტური აზრისა და იდეების განვითარების ცენტრში.

ამავე დროს, თვალსაჩინოა მისი საზოგადო მოღვაწეობა ჩვენი ქვეყნის განვითარების ურთულეს პერიოდში, მისი პირადი ღვაწლი საქართველოს პოლიტიკურსა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში უკანასკნელი 3-4 ათეული წლის განმავლობაში.

აკად. თ. გამყრელიძეს დიდი წვლილი აქვს შეტანილი ქართული მეცნიერების მართვის საქმეში. 1973-2005 წწ. იგი იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკად. გიორგი წერეთლის სახ. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორი, შემდგომ საპატიო დირექტორი და სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე; 1966 წლიდან ხელმძღვანელობდა თსუ სტრუქტურული და გამოყენებითი ლინგვისტიკის კათედრას (1999 წლიდან - ზოგადი და გამოყენებითი ენათმეცნიერების კათედრა, ხოლო ამჟამად - თეორიული და გამოყენებითი ენათმეცნიერების ინსტიტუტი). 2005-2013 წწ-ში იგი იყო საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიის პრეზიდენტი, ხოლო 2013 წლის ივლისიდან ამავე აკადემიის საპატიო პრეზიდენტია; იგი ხელმძღვანელობს აკადემიის ერთ-ერთ სამეცნიერო სტრუქტურას - „რუსთაველის კომიტეტს“.

დიდია აკად. თ. გამყრელიძის საერთაშორისო სამეცნიერო აღიარება, იგი იყო თხუთმეტამდე საზღვარგარეთული აკადემიისა და ლინგვისტური საზოგადოების წევრი. მას დამსახურებული აქვს ჰუმბოლდტის საერთაშორისო პრემია (გერმანია, 1989); ივ. ჯავახიშვილის სახელობის პრემია (თსუ, 1992); არის საქართველოს ღირსების ორდენის კავალერი (1999) და თბილისის საპატიო მოქალაქე (2000); მიღებული აქვს საქართველოს ეკლესიის უმაღლესი ჯილდო, „წმინდა გიორგის ოქროს ორდენი“.

დაკრძალვის დღეს საქართველოს პრეზიდენტმა გამოაცხადა აკად. თამაზ გამყრელიძისათვის ბრწყინვალების ორდენის მინიჭების, ხოლო განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სახელობითი კაბინეტის გახსნისა და თამაზ გამყრელიძის სახელობის პრემიის დაარსების შესახებ ლინგვისტიკაში.

ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილებამ მხარი დაუჭირა წინადადებებს აკადემიკოს თამაზ გამყრელიძის სახელის უკვდავყოფის შესახებ.

პრეზიდიუმი ადგენს:

დაკმაყოფილდეს ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილების თხოვნა და აღიძრას შუამდგომლობა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წინაშე, რათა

ა) დედაქალაქის ერთ-ერთ ქუჩას ეწოდოს აკად. თამაზ გამყრელიძის სახელი;

ბ) მისი საცხოვრებელი სახლის კედელზე (იაკობ ნიკოლაძის ქ. 6) გაკეთდეს მემორიალური დაფა.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული
აკადემიის პრეზიდენტი
აკადემიკოსი გ. კვესიტაძე

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული
აკადემიის აკადემიკოს-მდივანი
აკადემიკოსი რ. ხუროძე



თამაზ გამყრელიძე

(1929-2021)

ენათმეცნიერი, 2005–2013 წლებში საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი (1974), ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი (1962), პროფესორი (1964), ამერიკის ლინგვისტური საზოგადოების საპატიო წევრი (1971), ამერიკის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის უცხოელი წევრი (2006), ხელოვნებისა და მეცნიერების მსოფლიო აკადემიის ნამდვილი წევრი (2007), თბილისის საპატიო მოქალაქე (2000).

1952 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის ფილოლოგიის განყოფილება სემიტოლოგიის სპეციალობით. სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობას ეწევა აკადემიკოს გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტსა (1973–2005 წლებში ინსტიტუტის დირექტორი) და თსუ-ში (სტრუქტურული და გამოყენებითი ლინგვისტიკის კათედრის გამგე 1960 წლიდან). იკვლევდა ძველი აღმოსავლეთ ენების, ინდოევროპული, სემიტური და ქართველური ენების სტრუქტურისა და თეორიული ენათმეცნიერების საკითხებს. 1956 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „ხეთური ენის არაინდოევროპული ელემენტები“. ნაშრომში „ხეთური ენა და ლარინგალური თეორია“ (სადოქტორო დისერტაცია) გადაჭრა ერთ-ერთი სადავო საკითხი ხეთური ენის ინდოევროპულ ენებთან მიმართებისა. ხეთოლოგიურ ნაშრომთაგან განსაკუთრებული მნიშვნელობისაა აგრეთვე გამოკვლევები ხეთური სოლისებრი დამწერლობის წარმოშობისა და ხეთური კონსონანტიზმის ინდოევროპულ კონსონანტიზმთან მიმართების შესახებ.

გამოკვლევაში „ენობრივი ნიშნის ნებისმიერობის პრობლემისათვის“ (1972) მოცემულია ახლებური ინტერპრეტაცია ნიშნის პირობითობისა ნიკო მარის „დამატებითობის პრინციპის“ თვალსაზრისით.

გამყრელიძის ქართველოლოგიურ ნაშრომთაგან აღსანიშნავია „სიბილანტთა შესატყვისობანი და ქართველურ ენათა უძველესი სტრუქტურის ზოგი საკითხი“ (1959). სამეცნიერო წრეებში განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო მონოგრაფიამ „სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში“ (1965, გივი მაჭავარიანის თანაავტორობით), სადაც მოცემულია საერთო-ქართველური ენობრივი სისტემის ძირითადი სტრუქტურული მოდელების აღდგენა.

2005 წელს გამყრელიძე არჩეულ იქნა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტად, რომელმაც ეს თანამდებობა 2013 წლამდე შეინარჩუნა. იგი არჩეული იყო საზღვარგარეთის არაერთი პრესტიჟული სამეცნიერო საზოგადოების საპატიო წევრად. იყო ბონის (გერმანია) და ჩიკაგოს (აშშ) უნივერსიტეტების საპატიო დოქტორი. 1986–1988 წლებში ასრულებდა ევროპის ლინგვისტური საზოგადოების პრეზიდენტის საპატიო მოვალეობას.

1990–1991 წლებში იყო საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრი: საქართველოს კომპარტიის სიით, კულტურის, განათლებისა და მეცნიერების კომისიის წევრი, ხელი აქვს მოწერილი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წკის 9 აპრილი); საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს წევრი (1992); 1992-1995 წლებში საქართველოს მე-3 მოწვევის პარლამენტის წევრი: პროპორციული წესით, N1 მრავალმანდატიანი საარჩევნო ოლქი, ბლოკი „11 ოქტომბერი“, საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარე. 1995–1999 წლებში იყო საქართველოს მე-4 მოწვევის პარლამენტის წევრი პარტიული სიით, საარჩევნო ბლოკი „საქართველოს მოქალაქეთა კავშირი“. 1999–2004 წლებში იყო საქართველოს მე-5 მოწვევის პარლამენტის წევრი პარტიული სიით, საარჩევნო ბლოკი „საქართველოს მოქალაქეთა კავშირი“.

გარდაიცვალა 2021 წლის 10 თებერვალს, 91 წლის ასაკში.

გარდაცვალების შემდეგ, 13 თებერვალს, ენათმეცნიერებაში განსაკუთრებული მიღწევებისა და წვლილისათვის აკადემიკოს თამაზ გამყრელიძის სახელობის პრემია დაწესდა.